# ბოლშევიკური კადრებისათვის

ტფ. სახ. უნივერსიტეტის პარტკომის, რექტორატის და პროფ. ორგ. ორგანო

რედაქცია: ტფილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 1 (უნივერსიტეტის შენობა)

ფასი 20 კაპ.



53 / 1934

29/XII-62

53

ს.=35555

ეროვნული ბიბლიოთეკა



**დღეს ნომერში**

— სასკოლო მუშაობის საბრძოლო პროგრამა.

— პარტკომის დადგენილება.

— ერთთვიური კამპანიის მასალები.

— ორი ჯგუფი—ორი მაგალითი.

— მეტი ყურადღება გეოგრაფიის სწავლებას.

— ამხ. ს. მინდაძის მოხსენება.



№ 9 (16) | 31 მაისი 1934 წ. | № 9 (16)


## სასკოლო მუშაობის საბრძოლო პროგრამა

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სახკომსაბჭომ გამოიტანეს ისტორიული დადგენილება დაწყებითი და საშუალო სკოლის სტრუქტურისა და სკოლაში სამოქალაქო ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლების შესახებ.

სკოლის მუშაობის ხარისხობრივი ამაღლებისათვის საქ. კ. პ. (ბ) ც.კ-ის ეს დადგენილება ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლების საქმეში უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტს წარმოადგენს. ამჟამად ჩვენს სკოლებში ისტორიის სწავლებას არსებითი დეფექტები აქვს. ისტორიის პროგრამები, სახელმძღვანელოები და თვით მასწავლებელთა საგრძნობი ნაწილი ვერ დგანან საბჭოთა სკოლის მოთხოვნილების სიმაღლეზე.

ჩვენს სკოლებში ხმარებული ისტორიის სახელმძღვანელოები და პრგრამები ისტორიული კონკრეტული ფაქტების ნაცვლად შეიცავენ საზოგადოებრივი ეკონომიური ფორმაციების აბსტრაქტულ განმარტებებს. ამიტომ მოსწავლეებს არა აქვთ საშუალება გაეცნონ ისტორიულ ფაქტებს, ქრონოლოგიასა და ცალკე ისტორიულ პირებს.

ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს დადგენილება ერთხელ და სამუდამოდ უღებს ბოლოს ყველა ამ დამახინჯებას ისტორიის სწავლების საქმეში. პარტიის ბელადის ამხ. **სტალინის** მითითებით ისტორიული განათლება, როგორც მარქსისტულ-ლენინური განათლება, მოსწ. ახალგაზრ. უნდა მიეცეს კონკრეტულ ისტორიულ მასალებზე, ამ მასალის ცოცხალ, მიმზიდველ სახეებში გადაცემით. ცენტრალური კომიტეტი და სახკომსაბჭო ადგენს: ,,მოსწავლეების მიერ ისტორიის კურსის მტკიცედ შეთვისების გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს ისტორიულ-ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დაცვა ისტორიული ამბების გადმოცემაში. ამასთან აუცილებელია ღბეჭდვა მოსწავლეების მეხსიერებაში უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენების, ისტორიული მოღვაწეების. ქრონოლოგიური თარიღებისა. ისტორიის მხოლოდ ასეთ კურსს შეუძლია უზრუნველყოს ისტორიული მასალის მოსწავლეთათვის აუცილებელი მისაწვდომობა, თვალსაჩინობა და კონკრეტულობა, რის საფუძველზედაც მხოლოდ შესაძლებელია ისტორიული ამბების სწორი განხილვა და სწორი განზოგადოება, რაც მიიყვანს მოსწავლეს ისტორიის მარქსისტულ გაგებამდე.'' ჩვენს სკოლაში ისტორიის სწავლების სუსტად დაყენების ერთერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ისტორიის მასწავლებელთა მეტად სუსტი მომზადება. ჩვენი სკოლების საკმაოდ დიდ ნაწილში ისტორიას ასწავლიან არა სპეციალისტები. ამიტომ არის, რომ ჩვენს სკოლაში ზოგჯერ ნებით და ზოგჯერ უნებლიეთ ადგილი აქვს ისტორიის ტროცკისტულ ოპორტუნისტულ ფალსიფიკაციას, ისტორიული ფაქტების დამახინჯებას და სხვ.

ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს დადგენილება განსაკუთრებულ ხაზს უსვამს ისტორიის დარგში კვალიფიციური მასწავლებლების მომზადების საკითხს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამ მითითების საფუძველზე მიიღო დადგენილება ტფილისის უნივერსიტეტში ისტორიული ფაკულტეტის გაფართოებისა და ისტორიულ-არქეოგრაფიული სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტის დაარსების შესახებ. ამ დადგენილების რეალიზაცია სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოლშევიკების მხრივ სერიოზულ მუშაობას მოითხოვს. სწორი ბოლშევიკური ხელმძღვანელობით, ისტორიის ფაკულტეტი მოკლე ხნის განმავლობაში შესძლებს მარქსისტ-ლენინელ-სტალინელების მომზადებას ისტორიის დარგში, შესძლებს მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიის საფუძველზე ისტორიის ფაქტიური მასალის ღრმა მცოდნე მეცნიერ მკვლევარებისა და საშუალო სკოლების კვალიფიციურ მასწავლებლების მომზადებას.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტისა და სახკომსაბჭოს დადგენილება ეხება აგრეთვე გეოგრაფიის სწავლების საკითხს დაწყებით და საშუალო სკოლაში. ცნობილია, თუ რამდენ სუსტად არის დაყენებული გეოგრაფიის სწავლება ჩვენს სკოლებში. მოსწავლეებს მეტად მცირე ცოდნა ეძლევათ ფიზიკურ გეოგრაფიაში, როგორც ისტორიაში, ისე გეოგრაფიაში ხშირ შემთხვევაში სქემებისა და სოციოლოგიური განზოგადოებების შესწავლას ანდომებდენ მთელ დროს. სახელმძღვანელოები და პროგრამები სავსე იყო სტატისტიკური მასალებით.

აღნიშნული დადგენილება კონკრეტულად მიუთითებს გეოგრაფიის საგანზე და მოცულობაზე თითოეული კლასისათვის, რომლის მიხედვით უნდა დამუშავდეს სტაბილური სახელმძღვანელოები 1935-36 სასწავლო წლის დასაწყისისათვის.

ზემდგომ პარტიულ და საბჭოთა ორგანოების დადგენილება დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს განათლების სახალხო კომისარიატსა, სახელმწიფო უნივერსტეტსა და განათლების ყველა მუშაკებს სახ. უნივერსიტეტმა ისტორიული ფაკულტეტის მუშაობის მტკიცე საფუძველზე დაყენებითა და გეოგრაფიული სექციის გაძლიერებით უნდა უზრუნველყოს ჩვენი საშუალო სკოლა კვალიფიციური მასწავლებლებით, უნივერსიტეტი მეცნიერული ძალებით აქტიურად უნდა ჩაებას ისტორიისა და გეოგრაფიის ადგილებზე მომუშავე მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

უნივერსიტეტმა ისტორიულ-არქეოგრაფიული და გეოგრაფიულ-კარტგრაფიული სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტების მუშაობის ფართოდ გაშლით დაწყებითი და საშუალო სკოლა უნდა უზრუნველყოს საჭირო რუქებით, გეოგრაფიული ატლასებითა და სხვ.

ჩვენს მასწავლებლობას თითქმის არაფერი არ მოეპოვება ქართულ ენაზე ისტორიის ცალკეულ საკითხებზე და არც გეოგრაფიაში აქვს მეცნიერული ნაშრომები, რომ შესძლონ ცოდნის ამაღლება. ისტორიისა და გეოგრაფიის სამეცნიერო საკვლევმა ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ ჩვენი მასწავლებლობა, მოსწავლე ახალგაზრდობა და საბჭოთა მკითხველი ისტორიულ დადგენილებათა საფუძველზე დამუშავებულ მეცნიერული და მეცნიერულ-პოპულარულ ნაშრომებით.

## გაზ. „ბოლშევიკური კადრებისათვის" მუშაობის შესახებ

### ს.კ.პ.(ბ) ტფილისის სახ. უნივერსიტეტის პარტკომის დადგენილება

სახ. უნივერსიტეტის პარტიულმა კომიტეტმა მოისმინა რა მოხსენება გაზეთ ,,ბოლშევიკურ კადრებისათვის'' მუშაობის შესახებ, აღნიშნავს, რომ გაზეთმა ,,ბოლშევიკური კადრებისათვის'' მიუხედავად მუშაობის არახელსაყრელი პირობებისა (პოლიგრაფ. ბაზის უქონლობა და სხვა) ძირითადად შეძლო სტუდენტთა და პროფესორ-პედაგოგთა შემადგენლობის მობილიზაცია სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე დასახული ამოცანების გადასაჭრელად.

გაზეთმა „ბოლშევიკური კადრებისათვის'' ორ ფრონტზე დაუდობელი ბრძოლითა და მეცნერებათა მარქსისტულ-ლენინური სიწმინდის დაცვით საგრძნობლად შეუწყო ხელი სასწავლო გეგმების შესრულებას. დისციპლინის განმტკიცებისა და სწავლების ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესების საქმეს.

გაზეთმა საკმაო ბრძოლა ჩაატარა შოვინიზმის გამოვლინების ცალკეული ფაქტების წინააღმდეგ. გაზეთი მოურიდებლად ამჟღავნებდა არანორმალურ მოვლენებს სტუდენტთა ყოფა-ცხოვრებიდან და იძლეოდა აღმზრდელობითი მუშაობის მაგალითებსაც.

პარტმასობრივი მუშაობის საკითხებსაც საკმაო ადგილი ეჭირა გაზეთში.

გაზეთი უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით გამოცოცხლდა.

ამასთანავე პარტკომი გაზეთის მუშაობაში აღნიშნავს შემდეგ დეფექტებს:

1. გაზეთის იდეური პროდუქციის ხარისხი ჯერ კიდევ დაბალია.

ზოგიერთ ნომერში ადგილი აქვს პოლიტიკურ შეცდომებსაც კი. მაგალითად: ლენინის გარდაცვალების 10 წლის თავისათვის მიძღვნილ მეთაურ წერილში [№ 1 (7-8)] წერია: ,,უდიდესი გულისტკივილით გამოეხმაურენ ამ ცნობას (ე. ი. ლენინის გარდაცვალებას—პარტკომი) კაპიტალიზმის ყველა მონები, მსოფლიოს ყველა კუთხეები და ისინიც, ვინც ლენინის პარტიის მეთაურობით, ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით დაამხო კაპიტალიზმის ბატონობა რუსეთში და აშენებდა უკლასო საზოგადოებას.''

გაზეთში ზოგ შემთხვევაში სუსტათ არის დაყენებული სტილისა და რედაქციის საქმეც ,,ჩვენი ახალგაზრდობა მეცნიერების დაუფლებისათვის ბრძოლაში რუსული ენის უცოდინარობის გამო ფრთებს აკვეთს ჩვენი კადრების შემოქმედებითი შესაძლებლობას, ავიწროებს და უზღუდავს მათ სამოქმედო სარბიელს. აღნიშნული დადგენილება წარმოადგენს მიჯნას, რომლის გადაღმა რჩება შოვინისტური ინტელიგენციის სულისკვეთების გადანაშთები—რუსული ენის მიმართ ყრუ და მუნჯი მძულვარების სახით. სკოლებისა და პედაგოგ-ადმინისტრატიული პერსონალის ნაწილის მხრივ რუსული ენის სწავლების პოლიტიკური და კულტურულ-გამანათლებელი როლის ოპორტუნისტული შეუფასებლობა, ხოლო გადმოღმა კი რუსული ენის დაუფლების აქტუალური ამოცანის ყურადღების ცენტრში მოთავსება: ამ ამოცანის გადაწყვეტის ირგვლივ გაცხოველებული პედაგოგ-მეთოდ-მუშობა: ამ ამოცანის საბრძოლო დაკვრითი წესით გადაწყვეტისათვის სამოქმედო-ოპერატიული გეგმები. და ამ გეგმის კვალობაზე სათანადო ტემპებით წინ სვლა''.

გაზეთ №-5 ის მეთაური წერილის ,,ახალი გამარჯვებისაკენ'' მთელი რიგი ადგილები ლაყბობის სანიმუშო გამომხატველია იქ სწერია: ,,ეს წარმატებები მოპოებულია პარტიის გენერალური ხაზის გადაუხრველად გატარების, ცაკის 19 სექტემბრის დადგენილების რეალიზაციისათვის ბოლშევიკური ბრძოლის, უნივერსიტეტის წინაშე დასმული ამოცანების გარშემო პარტიულ-კომკავშირული მასის დარაზმვის უპარტიო პროფესორ-ლექტორთა და სტუდენტთა მასაში პარტიის ავტორიტეტის და გავლენის ამაღლების, კომუნისტური ავანგარდული როლის უზრუნველყოფის და პარტიის ხაზიდან ყოველგვარი გადახრების და მარქსიზმ-ლენინიზმის დამახინჯების წინააღმდეგ ბრძოლის საფუძველზე''.

პარტკომი აღნიშნავს, რომ მსგავსი შეცდომები შედეგია რედაქციის გულგრილი დამოკიდებულებისა, როგორც მასალების შერჩევის, ისე მისი სტილისტური და რედაქციული გასწორების საქმისადმი.

2. გაზეთმა ვერ გაშალა მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა ფართო პროპაგანდა და ვერ უზრუნველყო შესრულების შემოწმების ორგანიზაცია.

3. ვერ გაშალა კორესპონდენტთა ფართო ქსელი და ვერ შეძლო მათთან გაძლიერებული მუშაობის წარმოება.

4. გაზეთი ენა-სტილის მხრივ სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას; ჯერ კიდევ სუსტია მისი ტექნიკური გაფორმებაც.

5. გაზეთი ჯეროვნად ვერ ხელმძღვანელობდა კედლის გაზეთების მუშაობას, სამეცნიერო წრეების, ცალკე ლაბორატორიებსა და მეცნიერული ძალების მომზადების საქმეს.

6. გაზეთი საკმაოდ ვერ ამახვილებდა ყურადღებას სტუდენტთა ყოფა-ცხოვრების საკითხების გაშუქების, უნივერსიტეტის მშენებლობის, ბიბლიოთეკის, სამკითხველოს და სხვათა მიმართ, თავის დროზე ვერ გამოამჟღავნა ის უმსგავსოება, რომელთაც ადგილი ჰქონდა უნივერსიტეტის დახურულ კოოპერატივში. გაზეთი ჯერ კიდევ ვერ არის ცოცხალი და მებრძოლი ორგანო. პარტ. კომიტეტი ამასთანავე აღნიშნავს, რომ რედაქცია არ იყო უზრუნველყოფილი სხვა სამუშაოებისაგან განთავისუფლებული ძირითადი მუშაკებით.

#### პარტკომი ადგენს:

1). წინადადება მიეცეს გაზეთ ,,ბოლშევიკურ კადრებისათვის'' რედაქციას გადამჭრელი ზომები მიიღოს გაზეთის იდეური პროდუქციის ხარისხის შემდგი ამაღლებისათვის. კიდევ უფრო გააძლიეროს ბრძოლა ორ ფრონტზე ,,მემარცხენე'' და მემარჯვენე ოპორტუნიზმისა და მათთან შემარიგებლობის გამოვლინების ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ.

2). წინადადება მიეცეს გაზ. ,,ბოლშევიკური კადრებისათვის რედაქციას აწარმოოს მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა ფართო პროპაგანდა და მოაწყოს შესრულების სისტემატური შემოწმება.

3). შექმნას კორესპონდენტთა ფართო ქსელი და გააძლიეროს მათთან მუშაობა. მოაწყოს კურს—კონფერენცია კორესპონდენტების იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად, ქართული ენისა და საგაზეთო—სასტამბო ტექნიკის დაუფლების მიზნით.

4). მოაწყოს სისტემატური რეიდები, კიდევ უფრო გამახვილდეს გაზეთის ყურადღება სწავლების, სასწავლო რეჟიმის და დისციპლინის განმტკიცების, სამეცნიერო წრეების, სტუდენტთა ყოფა-ცხოვრების, კედლის გაზეთების, დახურული განმანაწილებლის, უნივერსიტეტის მშენებლობის, ლაბორატორიების მოწყობისა და მეცნიერული ძალების მომზადების ყველა საკითხზე. ამავე დროს გაზეთმა არ შეანელოს ბრძოლა ბიუროკრატიზმისა და კანცელარშჩინის გამოვლინების ყოველგვარი ფაქტების წინააღმდეგ. გაზეთმა უნდა მოგვცეს ჩამორჩენილ და მოწინავე მუშაკთა ტიპები, ცოცხალი ადამიანები და ფართოდ გაშალოს თავის ფურცლებზე თვითკრიტიკა ყოველი სახის დამახინჯებისა და ნაკლულოვანების დაუყოვნებლივ აღმოსაფხვრელად.

5). უნივერსიტეტის გაზეთი როგორც იდეური პროდუქციის ხარისხის, აგრეთვე ენის სიწმინდის მხრივ სანიმუშო გაზეთს უნდა წარმოადგენდეს.

6). დაევალოს ,,**ელხის**'' დირექტორს ამხ. **ა. ჭყონიას** მიამაგროს გაზეთის რედაქციას ინსტიტუტიდან მაღალ კვალიფიციური სტილისტი.

7). დაევალოს რედაქციას შემოიღოს პრაქტიკაში თითოეულ ნომრის გარჩევა კორესპონდენტთა აქტივის დასწრებით და აგრეთვე პერიოდულად ჩაატაროს (თვეში ერთხელ) მკითხველთა აქტივის კრებები გაზეთის მუშაობის შესახებ გაპარულ დეფექტების აღმოსაფხვრელად.

8. დაევალოს გამოცემლობის გამგეს ამხ. ა. ჭყონიას უახლოესი დროის განმავლობაში უზრუნველყოს გაზეთი ყველა საჭირო შრიფტით. დაევალოს მასვე მიიღოს ზომები გაზეთის დაუგვიანებლად გამოშვებისათვის.

9. დაევალოს ამხ. **ვ. ვაჭარაძეს** კომკავშირის კომიტეტის ხაზით მიამაგროს რედაქციას მუშაობის გაძლიერების მიზნით კომკავშირის ორი წევრი მობილიზაციის წესით.

10. გაზეთის ტექნიკური გაფორმებისათვის და მისი მუშაობის გაძლიერებისათვის გადიდდეს რედაქციის შტატი 3 მომუშავით.

11. დაევალოს **ამხ. სულაქველიძეს** ათ დღის ვადაში უზრუნველყოს რედაქცია სათანადო ინვენტარით და ყველა საჭირო მასალებით.

12. დაისვას საკითხი ცენტრალური კომიტეტის წინაშე გაზეთის მისამაგრებლად გაზეთ ,,კომუნისტის'' სტამბაზე კლიშეებით უზრუნველყოფის მიზნით.

13. დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

# ავიღოთ კიდევ უფრო მაღალი ტემპები ერთთვიურის ბოლშევიკურად ჩატარებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ყველა ძალები დისციპლინის განმტკიცებას, არ დავუშვათ არც ერთი წუთის გაცდენა, ყოველმხრივად ვიბრძოლოთ საკავშირო კონკურსში გამარჯვების მოსაპოვებლად**

---

### უნივერსიტეტის პარტკომს—ამხ. ს. მინდაძეს რექტორს—ამხ. ლ. აღნიაშვილს გაზ. „ბოლშევიკური კადრებისათვის" რედაქციას

პარტიული კომიტეტის დადგენილება "სასწ. გეგმების შესრულების და სწავლების ხარისხის კიდევ უფრო ამაღლებისათვის" დამკვრელ ერთ თვიურის ჩატარების შესახებ 14 მაისამდე იქნა დამუშავებული ყველა აკადემიურ ჯგუფებში და ამ საფუძველზე გაიშალა სათანადო მუშაობა.

დამკვრელ ერთთვიურის 1-ლ 6-დღიურში 11 მაისიდან 19 მაისამდე ჩვენ მივაღწიეთ სათანადო წარმატებებს. მიუხედავათ იმისა, რომ არც ერთ სტუდენტს არ მიუღია შენიშვნა შრომის დისციპლინის დარღვევისათვის. ისტ. ლიტ. ფაკ. საერთო გაცდენები დაყვანილ იქნა მინიმუმამდე, ხოლო არა საპატიო გაცდენები კი 19 მაისისათვის უდრის 0-ს. ასეთივე მიღწევა გვაქვს ლექტორების დასწრების მხრივაც. გეგმების გადაჭარბებით შესრულებისა და ხარისხის ამაღლების მიზნით იკითხება პროფ. ლექტ. შეთანხმებით დამატებითი საათები (კაპანელი, ყალიჩავა, ბაქრაძე) სტუდ. საერთო საცხოვრებელში ეწყობა კონსულტაციები; იმ დისციპლინებში რომელშიც არ არის სახელმძღვანელოები, მიღებულია ზომები ხარისხობრივი კონსპექტით მუშაობისათვის, გამოყოფილია ბრიგადები ჩამორჩენილ სტუდენტთა შორის მუშაობის გაშლისათვის. ფაკ. პარტ.ორგანიზაცია სიტყვას იძლევა აღებულ ტემპებს არ შეანელებს არც ერთი წუთით და ბოლშევიკურად დაამთავრებს მიმდინარე სამოსწავლო წელს.

**ისტ. ლიტ. ფაკ. დეკანი:**
**ლ. ციხისთავი**
**პ/ორგანიზატორი:**
**შ. კალანდარიშვილი**
**პროფკომის თავმჯდომარე:**
**ქ. ჩხარტიშვილი**

### ერთთვიური კამპანიის მასალები

12/V - 19/V - დე.

#### წითელი დაფა

1. № 8, 9, 17, 3, 16 ჯგუფის სამკუთხედები: არა აქვთ გაცდენები

#### შავი დაფა

1. № 7. ჯგუფის სამკუთხედი—გაცდენის ჯამი 20 საათი. 2. № 15. ჯგუფის სამკუთხედი—გაცდენის ჯამი—12 საათი.

**სტუდენტები.**

1. არუთინოვი თამარა—გააცდინა—4 საათი
2. ბასილაია გიორგი — „ —5 „
3. ვაჩიბერიძე გიორგი— „ —5 „
4. იობაძე ვლადიმერ— „ —6 „
5. ჩიტაიშვილი ბენია— „ —4 „
6. მორჩაძე ვარლამ — „ —8 „

### „მოხალისე" სტუდენტი

№ 42 ჯგუფის სტუდენტი ოლღა კაკაშვილი სისტემატიურად აცდენს საათებს, მისთვის ეს არაფერია, მაგრამ ამ უთაობით საფრთხე მოელის.

კაკაშვილი გაკრული იქნა შავ დაფაზე, მიგრამ საქმეს ვერც ამან უშველა.

№ 42 ჯგუფის სტუდენტობა მოვითხოვთ გარკვეულ პასუხს კაკაშვილისაგან. სანამ გაგრძელდება ასეთი მდგომარეობა?

**პიკი**

### საყვედურის გამოცხადება

**ტფ. სახ. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება**

ასპირანტურის ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე ასპ. ვ. რუსიაშვილს და ე. ბალავაძეს ვუცხადებ სასტიკ საყვედურს უკანასკნელი გაფრთხილებით, იმისათვის რომ, მათ სრულიად უსაფუძვლოდ ბრალი დასდეს პარტიის კანდიდატს, ლენინიზმის სპეციალობის ასპირანტს გ. ხვანიძეს პლაგიატორობაში და შეურაცყოფა მიაყენეს დიამატის სემინარის ხელმძღვანელ პროფ. კ. ბაქრაძეს სემინარის მსვლელობის დროს.

შემოწმებული იქნას სესიებზე ასპ. რუსიაშვილი და ბალავაძე მათი აკადემიური მიღწევების მიხედვით.

ეს ბრძანება გამოქვეყნდეს პრესაში.

**ტფილისის სახ. უნივერსიტეტის რექტორი:**
**პროფ. ლ. აღნიაშვილი**

### მზადება სესიებისათვის

(ტფ. სახუნივერსიტეტი)

ეკონომიური ფაკულტეტის დეკანმა ამხ. გრ. ჯანელიძემ, პარტკომკავშირულ და პროფორგანიზაციებთან ერთად გაშალა მუშაობა მორიგ სესების წარმატებით ჩასატარებლად. მოეწყობა დამატებითი კონსულტაციები სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში წითელ კუთხესთან. კონსულტაციებს ჩაატარებენ საუკეთესო დამკვრელ პროფესორ-ლექტორები: **კოტე ბაქრაძე, რამიშვილი გრ. ჯანელიძე, პ. გუგუშვილი, ი. ბაჯაძე და სხვ.**

რამდენიმე კონსულტაცია უკვე ჩაატარა პროფ. კ. ბაქრაძემ და პ. გუგუშვილმა, რამაც გამოიწვია სტუდენტთა გაცხოველებული ინტერესი. ასეთი კონსულტაციები ყოველ დღე იქნება ჩატარებული სტუდქალაქის მე-8 კორპუსში გარდა საერთო საცხ. კონსულტაციებისა ფაკულტეტზე დამკვრელი ლექტორები დახმარების გაძლიერების მიზნით ჩამორჩენილ სტუდენტებზე აწყობენ დამტებით საათებს, ასეთებია: **ჩანტლაძე ვასო, ჯანელიძე გ., შარაშენიძე, მანჯგალაძე, ძიგრაშვილი, თოფურია, რამიშვილი, ჭავჭანიძე, ბაჯაძე, წერეთელი, მეგრელიძე ი., კვირიკაძე, სამსონია და სხვ.**

საჭიროა სახუნტის ეკონ. ფაკულტეტის ამ სანიმუშო ინციატივას მიბაძონ სხვა ფაკულტეტებმა.

**გ. ბირკაია**

### ვინ როგორ იბრძვის პარტკომის დადგენილების შესრულებისათვის

ერთთვიურის პირველი დეკადის განმავლობაში ზოგიერთმა ფაკულტეტმა მაღალი მაჩვენებლები მოგვცა. 11 მაისიდან 18 მაისამდე **ისტორიულ-ლიტერატურულ** ფაკულტეტმა შესძლო არა საპატიო გაცდენების დაყვანა ნულამდე.

**სამართლის ფაკულტეტმა** თუმცა მარტთან შედარებით გაცდენები საგრძნობად შეამცირა, მაგრამ ნულამდე ჯერ კიდევ ვერ დაიყვანა. მაისის II დეკადასთან შედარებით ერთთვიურის პერიოდში **მესამე დეკადაში** არასაპატიო გაცდენები გაზარდა 0,26 % იდან 0, 31 % დე. მაგრამ საერთო გაცდენების შემცირებაში 1-ლი ადგილი უკავია **ეკონომიურ ფაკულტეტს**. მ. სმარტში არ საპატიო გაცდენების მხრივ მეხუთე ადგილი ეჭირა. მესამე დეკადაში გაცდენები დაყვანილია 1,22 %დე, მეხუთედან მესამე ადგილი დაიჭირა.

ფიზიკო-მათემატ. ფაკულტეტზე გაცდენების შემცირების ნაცვლად ადგილი აქვს გაცდენების ზრდას მაგ. მაისის მე2 რე დეკადაში არასაპატიო გაცდენა უდრიდა 1,89 %ს. მე-3 დეკადაში ის გაიზარდა-3,-28 %მდე (118 საათიდან-205 საათამდე). საერთო გაცდენების მხრივ მეხუთე ადგილი უჭირავს.

ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. მაისის მე2რე დეკადაში არა საპატიო გაცდენები უდრიდა



სახ. უნტის სტ. სასადილოს გამგის მოად. **შ. მაისურაძე**

2, 78 %-ს. მე-3-მედეკადაში 3,52 %მდე ავიდა. (237სათ-დან-300.) არა საპატიო გაცდენებში მას უკანასკნელი ადგილი უჭირავს.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ერთთვიური ბოლშევიკურად ჩავატაროთ. ამ მხრივ ისტ. ლიტერატურული ფაკულტ. მუშაობა მისაბაძია. ვისწავლოთ მოწინავეებისაგან, მათი მუშაობის ხერხებისა და მეთოდების გადმოღებით უზრუნველვყოთ გაცდენების ნულამდე დაყვანა მთელ უნივერსიტეტში.

**ტ. დ.**

### მეტი ყურადღება გეოგრაფიის სწავლებას

გეოგრაფიის სწავლებას დღეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. მის მაღალ საფეხურზე აყვანისათვის სათანადო დადგენილება იქნა გამოტანილი პარტიისა და ხელისუფლების მიერ.

რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ სახელმწ. უნივერსიტეტში? სამწუხაროდ უნდა ითქვას, არა დამაკმაყოფილებელი. ამის დასადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ მრავალი მაგალითები.

სტუდენტთა უმრავლესობას არ ესმით, მაშტაბი, გრადუსთა ბადე, პროექცია, „მუნჯი" რუქები და სხვ. საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის პირველი კურსზე რიგმა სტუდენტებმა არ იცოდენ ინდოეთის მდებარეობა. ხშირია შემთხვევა როდესაც სტუდენტმა არ იცის ევროპა სად მდებარეობს ან, კიდევ ბალკანეთის ნახევარ კუნძულს აფრიკაში ეძებენ და სხვ.

უცხოეთს, რომ თავი დავანებოთ არც საბჭოთა კავშირის გეოგრაფიის ცოდნაა კარგ მდგომარეობაში.

ეკონომიური ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტების საგრძნობმა ნაწილმა არ იცის ლენინგრადის და მოსკოვის მდებარეობა, ხშირად მას **მდ. ამურზე ან ნილოსზე ეძებენ.** იყო შემთხვევა როცა სტუდენტმა რუქაზე ვერ აჩვენა საქართველო და მისი საზღვრები.

რამდენადაც ზემოთ მოყვანილი ნაკლოვანება გეოგრაფიაში საერთო ხასიათს ატარებს, ჩვენ არ შეგვიძლია ეს მოუმზადებლობა მხოლოდ სტუდენტობას მივაწეროთ ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ დაბალი ან საშუალო საფეხურის სკოლებში, რომლებიც ამ მხრივ სათანადოთ ვერ ამზადებენ მოზარდ თაობას. სკოლებში საერთოდ არ არის თავის სიმაღლეზე დაყენებული გეოგრაფიის სწავლება და არ არის ისინი უზრუნველყოფილი მაღალი კვალიფიციური მასწავლებელთა კადრით, სახელმძღვანელობით და გეოგრაფიული კაბინეტით.

გეოგრაფიულმა კათედრამ მიაქცია რა ამ მდგომარეობას ყურადღება, შემოიღო გეოგრაფიულ განყოფილებაზე ზოგადი გეოგრაფიის პროპედევტური კურსი. მგრამ ეს არ კმარა. საჭიროა ზოგადი გეოგრაფია შემოღებულ იქნას სხვა ფაკულტეტებზეც. რაც მთავარია შემოღებულ უნდა იქნას უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღების დროს მისაღები გამოცდები გეოგრაფიაში, მთელ კონტიგენტისათვის სპეციალობის მიუხედავად.

ყველა დისციპლინის ლექტორმა თავის მუშაობაში ფართოდ უნდა გამოიყენოს რუქები გეოგრაფიაში ცოდნის გაღრმავების მიზნით.

დროა ამ მდგომარეობას მიექცეს სათანადო ყურადღება.

**დოც. ბ. ჟავრიშვილი.**

### ორი ჯგუფი--ორი მაგალითი

(ჯგ. №72 და ჯგ. №71)

დისციპლინის განმტკიცებისა და სწავლების ხარისხის კიდევ უფრო მეტად ამაღლების ერთვიურთან დაკავშირებით საბ. ფაკ. გეოგრაფიული სპეციალობის 1-ლი კურსის ჯგ. №72-ის მუშაობაში მოხდა მნიშვნელოვანი გარდატეხა.

აღნიშნულ ჯგუფში დროულად დამუშავდა სახუნტის პარტიული კომიტეტის დადგენილება ერთთვიურის ჩატარების შესახებ, რის საფუძველზე კიდვე უფრო გაძლიერდა ჩამორჩენილი სტუდენტებზე დახმარების პრაქტიკა. აღრიცხული იქნა ჩამორჩენილი სტ-ები, და მათზე დახმარების გაწევის მიზნით მიმაგრებული იქნა მძლარ ვსტუდ-ბი; ლექტორთა - **კონიაშვილის, ნამორაძის, ვაჩნაძის და ჩხეტიას ინციატივით**-ტარდება დამატებითი მეცადინეობა (ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა, რუსული); დღემდე ჩატარებულია 12 საათი საჭიროა ასეთივე კონსულტაციები **მინერალოგიაში** რომელიც დღემდე ვერ მოხერხდა ასპირანტ. **ზ. გოცირიძის უმოქმედობით.**

უკანასკნელ დეკადაში გაცდენა დაყვანილ იქნა 0,09 %-დე.

სულ სხვა სურათია **გეოლოგიური** 1-ლი კურსის ჯგ. № 71-ში. აღნიშნულ ჯგუფში მიუხედავად სახუნტის პარტ-კომიტეტისა და ადმინისტრაციის მითითებისა, ადგილი აქვს დისციპლინის სისტემატიურ დარღვევის ფაქტებს. 13 მაის აღნიშნულ ჯგუფში ფიზიკის ლექცია გააცდინა 24 სტუდენტმა, ასეთ აღმაშფოთებელ ფაქტებს ხშირად აქვს ადგილი ამ ჯგუფში. ჯგუფის სამკუთხედი არავითარ ზომებს არ ღებულობს დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ, პირიქით იჩქმალება ასეთი ფაქტები სამკუთხედის წევრების მიერ (შავარდნაძე-ჯაფარიძე).

**ილ. ლომაია**
**მიხ. ჩიქ ოვანი.**

# მტკიცედ ჩავებათ ბოლშევიკური პრესის მუშაობაში

## ამხ. ს. მინდაძის მოხსენება გაზ. „ბოლშევიკური კადრებისათვის“ მუშაობის შესახებ კორესპონდენტთა თათბირზე 16 მაისს *)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი უნდა იყოს იდეოლოგიურად გამართლებული. ორ ფრონტზე ბრძოლით მტკიცედ უნდა იცავდეს მარქსისტულ—ლენინური თეორიის სიწმინდეს. ჩვენი ყოველდღიური მუშაობა უნდა გამომდინარეობდეს მე-17 პარტყრილობის დადგენილებიდან. გაზეთმა ფართოდ უნდა აწარმოოს ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა. მაგრამ არ არის საკმარისი მხოლოდ პროპა, საჭიროა აგრეთვე **ოპერატიული ბრძოლა გეგმების შესრულებისათვის, შესრულების შემოწმებისათვის.** პრესა, როგორც კოლექტიური ორგანიზატორი, აგიტატორი და პროპაგანდისტი იარაღია თვითკრიტიკის, იარაღია ბოლშევიკური სიფხიზლის. ყოველი საკითხის გადაჭრა მოითხოვს კონკრეტულ მიდგომას. **„საჭიროა კრიტიკა სერიოზული, ღრმა და არა ზერელე“ (სტალინი).**

გაზეთში გამოტანილი უნდა იქნეს აგრეთვე საუკეთესო მუშაობის გამოცდილებანი, რომ მით აღვზარდოთ სხვები.

მთავარია, რომ გაზეთი იყოს ცოცხალი, მებრძოლი ორგანო. დღემდე, უკანასკნელ სამ ნომრამდე ჩვენს გაზეთს აკლდა ეს თვისება. გაზეთისათვის მებრძოლი სახიათის მიცემა მოითხოვს სათანადო კადრის შექმნას და კორესპონდენტთა მძლავრ არმიის მომზადებას.

### ენის და სტილის სიწმინდისათვის

„ენის საკითხი—ეს არის ჩვენი გაზეთის ხარისხის საკითხი„ (სტეცკი). მთავარი არის წინადადების და სიტყვების სიზუსტე და გარკვეულობა. თვითეული წინადადება გაჟღენთილი უნდა იყოს ღრმა აზრით და კონკრეტული შინაარსით. უნდა ვისწავლოთ ამხ. **სტალინის** სტილი თვითეული კორესპონდენტი უნდა დაეუფლოს ამხ. **სტალინის** წერის და მუშაობის სტილს.

### როგორ სწყვეტს ჩვენი გაზეთი ამ ამოცანებს?

მთავარი ამოცანა, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენმა გაზეთმა დადებითად ვერ გადასჭრა არის **იდეურ პროდუქციის, მაღალ ხარისხისათვის ბრძოლა.**

ამ მხრივ არა საკმარისი მუშაობა აქვს ჩატარებული, როგორც გაზ. „ბოლშევიკურ კადრებისათვის„ ისე სასწავლო ნაწილს და კათედრებს. საჭიროა ლექციების ხარისხზე განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა; რამდენათ არის ის იდეოლოგიურად გამართლებული, არის თუ არა მაღალ ხარისხოვ. და სხვ. ზოგიერთ პროფესორ—ლექტორები ლექციებს უნებლიეთ ამახინჯებენ და ზოგიც თითო—ოროლა განგებ ცდილობს კონდრაბანდის სახით შემოგვაპაროს ანტიმარქსისტული შეხედულებანი. ამის მაგალითები გასულ წელს გვქონდა და არც წელს ვართ ამისგან დაზღვეული. ადგილი აქვს ზოგჯერ სტუდენტ—ლექტორებისაგან ცალკეულ მემარჯვენე „მეარცხენე“ გადახრების გამოვლინების ცალკეულ ფაქტებს, ზოგჯერ კი მათდამი შემარიგებლობას და ლიბერალობას. კორესპონდენტების ფხიზელმა თვალმა დროულად უნდა ამხილოს ასეთები სათანადო ზომების მისაღებად.

ამასთანავე **ამხ. მინდაძეს** მოჰყავს მრავალი ფაქტი გაზ. „ბოლშევიკური კადრებისათვის“ წარსული ნომრებიდან №№ 1 (78), 4,5. და სხვ. სადაც მრავალ დამახინჯებას აქვს ადგილი როგორც სტილისტიურად, ისე რედაქციულად, რაც უხეშ პოლიტიკური შეცდომის ხასიათს ატარებს. თუმცა გაზეთის უკანასკნელ ნომრებს ამ მხრივ ემჩნევა გამოსწორება, მაგრამ სავსებით ის ჯერ კიდევ არ არის დაზღვეული მსგავს დამახინჯებათაგან. შემდგომში საჭირო იქნება გაზეთმა აწარმოოს სასტიკი ბრძოლა ასეთი დამახინჯებების წინააღმდეგ.

როგორია ჩვენი გაზეთის ხელმძღვანელობა კედლის გაზეთებზე?—სუსტი. მომავალში მუშაობა უნდა გარდაიქმნას და გაეწიოს აღნიშნულ გაზეთებს კონკრეტული ხელმძღვანელობა. უნდა ხდებოდეს სარედაქციო თათბირები და ნომრების სპეციალური გარჩევა.

### გამოსავალი წერტილი მე—17 პარტყრილობის დადგენილებაა

გაზეთის ყოველდღიური მუშაობა ყრილობის დადგენილებიდან უნდა გამომდინარეობდეს. გაზეთმა უნდა აწარმოოს გადაწყვეტილებათა ფართო პროპაგანდა როგორ ვატარებთ ჩვენ ამას?—სუსტად. იშვიათად ნახავთ წერილს ყრილობის დადგენილებიდან რომ გამომდინარეობდეს, როგორც სტეცკი აღნიშნავს „ვოლდაისკოლმეურნეობამ“ საუკეთესოდ დააყენა მე—17 პარტყრილობის დადგენილებათა შესწავლა შეკითხვების შეგროვებითა და პასუხის იცემით. ასეთი რამ ჩვენთან არ მომხდარა.

### ოპერატიული ბრძოლა გეგმების შესრულებისათვის

ჩვენი გაზეთი ეწეოდა ოპერატიულ ბრძოლას გეგმების შესრულებისათვის, მაგრა არა საკმაოდ. საჭირო არის არა მხოლოდ ფაქტების აღნუსხვა, არამედ ხელისშემშლელი მიზეზების გამომჟღავნება. ჩვენ გვაქვს ლითო—ტიპგრაფია, რომლის საწარმოო საფინანსო გეგმის შესრულების მაჩვენებლებზე არც ერთხელ არაფერი ყოფილა აღნიშნული. არ ექცევა ყურადღება სახელმძღვანელოების ბეჭდვას. ლითოგრაფია კი—გადატვირთულია ბლოკნოტების ბეჭდვით. ასევე არაფერი თქმულა ჩვენი უნივერსიტეტის აღმშენებლობაზე და ბიბლიოთეკაზე.

### გავშალოთ კორესპონდენტთა ფართო ქსელი

დღემდე სუსტი იყო მუშაობა კორესპონდენტებს შორის. ახლა მაინც უნდა მოვაგვაროთ ეს საქმე. ჩვენს უნივერსიტეტში არსებობს ყოველგვარი პირობები კორესპონდენტთა შორის მუშაობის სანიმუშოდ დაყენებისათვის თითოეულ აკადემიურ ჯგუფში უნდა გვყავდეს ერთი ან ორი კორესპონდენტი, მაგრამ ეს არ კმარა, უნდა ვიბრძოლოთ მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად. **სახ. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თითოეულ კორესპონდენტს უნდა შეეძლოს რაიონული გაზეთის ხელმძღვანელობა.** ამას შევძლებთ მაშინ, თუ გავაღრმავებთ კორესპონდენტებს შორის აღმზრდელობითი მუშაობის საქმეს. კორესპონდენტი კარგად უნდა იცნობდეს გაზეთის გამოშვების ტექნიკას, აწყობას, გვერდების შეკვრას, მის ტექნიკურად გაფორმებას და სხვა. ამ მხრივ ჩვენი მუშაობა სანიმუშო უნდა იყოს ყველა წარმოება-დაწესებულებისათვის.

### ენის საკითხი--ხარისხის საკითხია

ენის და სტილის მხრივ ჩვენი გაზეთი სუსტია. აქვს ადგილი ამ მხრივ მთელ რიგ შეცდომებს. ხშირად კორექტორული შეცდომები აზრს ამახინჯებს. ენისა და სტილის საქმე სანიმუშოდ უნდა დავაყენოთ. ამისათვის კორესპონდენტებს უნდა შევასწავლოთ: წერილების, ნარკვევების, ფელეტონების წერა და სხვა. უნდა მოვაწყოთ კურს კონფერენციები, სარედაქციო თათბირები, სადაც ყურადღება მიექცევა სტილს, ენას და გაზეთის იდეურ პოლიტიკურ დონეს. ამ საქმეში გაზეთს დახმარება უნდა გაუწიოს ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის მუშაკებმა.

### უახლოესი ამოცანები

გაზეთის უახლოესმა ნომრებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს გამოცხადებული **ერთთვიურის** მსვლელობას.

ერთთვიური ორ მიზანს ისახავს: ა) სწავლების ხარისხის კიდევ უფრო ამაღლებას და დისციპლინის განმტკიცებას. ამ ამოცანების გადაჭრის პროცესში კორესპონდენტებმა უნდა შეძლონ შემდგომი ნაკლოვანებების გამომჟღავნება: ვინ აცდენს ლექციებს. რატომ აცდენს, ვინ უშლის ხელს გეგმის შესრულებას, როგორ მუშაობს ჯგუფის სამკუთხედი, ტარდება თუ არა ცხოვრებაში სახუნტის პარტკომის დადგენილება და სხვა.

როგორ მიმდინარეობს მუშაობა კონსულტაციებსა და საუბრების ჩატარებისა და სუსტი სტუდენტებისათვის დახმარების კიდევ უფრო გაძლიერებისათვის, პროფესორების დახმარება, რა ნაკლი ჰქონდა მე-III კურსის გასულ სესიებს და აღრიცხვას, როგორ მიმდინარეობს სამზადისი და მუშაობა მომავალი სესიებისათვის და სხვ.

### ყოფაცხოვრების საკითხების დამახინჯების წინააღმდეგ

ამ ბოლო დროს გაზეთმა გამოაცოცხლა მუშაობა ყოფაცხოვრების საკითხების დამახინჯების წინააღმდეგ ბრძოლაში. ლოთობის, ხულიგნობის, მკვლელობისა და სხვ. მხილებით. მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა კიდევ მეტი ყურადღების გამახვილება და კულტურული ცხოვრებისათვის ბრძოლა. გაზეთმა კიდევ უფრო მეტად უნდა გამოამჟღავნოს ყველა ავადმყოფური მოვლენა (ხულიგნობა, ლოთობა, კარტის თამაში, ტრამვაის მოძრაობის წესების უხეშად დარღვევა და სხვ.) სტუდენტთა შორის და მიიღოს მის წინააღმდეგ გადამჭრელი ზომები. გარდა ამისა გადაუდებელ ამოცანად ისახება ბრძოლა მეშჩანიზმის წინააღმდეგ, (ბატონობით მიმართვა პროფესორებისადმი, მანიკურები, საღებავების წასმა სახეზე, სამკაულის ტარება და სხვ).

მოხსენების დამთავრებისას მომხსენებელი შეეხო რეიდებისა და მკითხველთა კონფერენციების მოწყობის აუცილებლობას და ბოლოს აღნიშნა: მოხსენებიდან არ უნდა გამოვიტანოთ ის დასკვნა, რომ გაზეთს არ ჰქონდეს მიღწევები მუშაობაში. გაზეთმა ამ ბოლო დროს დიდათ გამოაცოცხლა მუშაობა, რაც მომავალში კიდე უფრო უნდა გაძლიერდეს.

*) ამხ. მინდაძის მოხსენებას ვბეჭდავთ შემოკლებით. რედ.

## კ ა მ ა თ ი

### ამხ. ი. ბოლქვაძე (მუშფაკი)

უკანასკნელად გაზეთმა გაამახვილა ყურადღება ყოფა-ცხოვრების საკითხებზე. ეს ძალიან კარგია. მაგრამ ზოგჯერ წერილს ამცირებენ ძალიან. ზოგიერთი წერილის გაშვება იგვიანებს. მოძველებულ წერილებს ნაკლები ღირებულება აქვს. ამას უნდა მიექცეს ყურადღება.

### ამხ. ვ. ქვარცხავა

ჩვენს გაზეთს აქვს სერიოზული მიღწევები. მაგრამ მას ახლავს ნაკლიც. გაზეთი ჯერ კიდევ ვერ უწევს ხელმძღვანელობას ჩვენს ძირეულ პრესას—კედლის გაზეთებს. საჭიროა მომავალში ეს გამოსწორდეს. დღემდე არ ჩატარებულა რეიდი ამა თუ იმ საკითხებზე. გაზეთს ჯერ კიდევ ყურადღება არ მიუქცევია ენის საკითხებისათვის.

### ამხ. რ. ოთხმეზური

ჩვენი გაზეთის მიღწევა არის მისი სისტემატიური გამოსვლის უზრუნველყოფა, მაგრამ ეს არ კმარა, საჭიროა კორესპონდენტთა შორის მუშაობის გაშლა, რომ გაზეთი მებრძოლი ორგანო გახდეს. გაზეთმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს პარტმშენებლობის საკითხებს, პარტორგების და კომორგების მუშაობას.

### ამხ. შანავა

გაზეთმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ყოველგვარ ანტისაბჭოთა გამოვლინების წინააღმდეგ. „მსუბუქი კავალერიის“ საშუალებით გაზეთმა უნდა შესძლოს ასეთების მხილება. ჯერ კიდევ ვერ არის გამახვილებული ყურადღება ყოფა-ცხოვრების დამახინჯებების წინააღმდეგ. არიან ისეთი სტუდენტები (ევროპიული სექცია), რომლებიც წვრილბურჟუაზიულ გავლენისაგან არ არიან განთავისუფლებული.

### ამხ. მ. ჩხენკელი

ყურადღება უნდა მიექცეს სტ. სამეცნიერო წრეების მუშაობას. შემოღებულ უნდა იქნას გაზეთში წითელი და შავი დაფა. რედაქციამ უნდა უზრუნველყოს თვეში ერთჯერ მაინც სალიტერატურო ფურცელის გამოშვება. დღემდე სრულებით არაფერი თქმულა სააღმშენებლო დარგზე. საჭიროა კორესპონდენტთა ქსელის გაშლა.

### ამხ. ნინუა

ჩვენი გაზეთი ჯერ კიდევ სუსტად იბრძვის ენის და სტილის მხრივ. გაზეთში ხშირად გვხვდება კორექტორული შეცდომები, რომლებიც აზრს ამახინჯებენ. ასეთ დამახინჯებას ადგილი ჰქონდა ლენინის გარდაცვალების 10 წლის თავზე მიძღვნილ მეთაურში. ამხ. ნინუა იმოწმებს აქ კონტრრევოლიუციონერ ტროცკის სიტყვებს

ამხ. ნინუას მიერ ეს ტროცკისტულ კონდრაბანდის შემოპარების ცდები ბოლშევიკურად იქნა გამომჟღავნებულ და გაკრიტიკებული თათბირზე კერძოდ ამხ. ს. მინდაძის მიერ.

### ამხ. მესხია

ზოგჯერ წერილების სათაურები არ შეეფერება შინაარსს. რედაქციის მუშაკებმა კორესპონდენტებს უნდა ასწავლონ წერის ტექნიკა, სტამბის მუშაობა, თვით რედაქცია კორესპონდენტები დაწერილ წერილების შინაარსის, ბოლომდე მებრძოლი უნდა იყვნენ—მისი შემოწმებისა და კონტროლის გაწევით.

### ამხ. ვ. ტუღუში

პირველ ხანებში ჩვენი გაზეთი იბეჭდებოდა „კომუნისტი“-ს სტამბაში რიგ გარეშე. არ გვქონდა საკუთარი სტამბა, რამაც გავლენა მოახდინა ჩვენს მუშაობაზე და გაზეთი სისტემატურად ვერ გამოდიოდა. დღეს კი შექმნილია სათანადო პირობები ამისათვის.

### ამხ. რამიშვილი

სოცშეჯიბრების და დამკვრელობის საქმეს, მის შემოწმებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

### ამხ. ა. ნუცუბიძე

აქ გამოსული ამხანაგები სწორად ეხებოდენ ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებებს. ჩვენ ამ შენიშვნებს უსათუოდ მივიღებთ, მაგრამ მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ჩვენ ძალიან გვიშლის ხელს რედაქციის მუშაკების სიმცირე. ეს სიძნელე გადალახული უნდა იქნას თქვენი დახმარებით, რადგან რედაქციას არ აქვს საშუალება შტატის გადიდების. ჩვენი გაზეთის ტექნიკური გაფორმების საქმეში ხელს გვიშლის სათანადო შრიფტის უქონლობა. სტამბა გვაქვს, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი შრიფტის საკმაო რაოდენობით. სტამბაში ხელნაწერი მასალების გადაგზავნა ხდება. მას კი ვერ გებულობენ მუშები და აწყობილი მასალის ძნელად გასწორების გამო გაზეთში ადგილი აქვს კორექტორულ შეცდომებს. **კორესპონდენტებმა აუცილებლად უნდა ისწავლონ წერა. უნდა სწერონ მოკლედ, ფაქტებზე, გარკვეული ხელით და ქაღალდის ცალ გვერდზე.** ზოგიერთები ჩვენი გასწორებულ მასალებს არ აქცევენ ყურადღებას. ეს არ არის კარგი. **კორესპონდენტი უნდა დაუკვირდეს როგორ გაუსწორა მას წერილი რედაქციამ და ეს პრაქტიკა უნდა გამოიყენოს მან, სხვა წერილის დაწერის დროს.** საჭირო იქნება და ჩვენ ამას უსათუოდ ვიზამთ, როგორც ამის შესახებ აღნიშნა ამხ. **ს. მინდაძემ**—მოვაწყოთ კურს-კონფერენცია, სადაც შემოღებული იქნება საგანი, ენის და სტილის მცოდნეობის, სასტამბო მუშაობის შესწავლის და სხვ. ამ დღეებში ჩვენ ვფიქროათ გამოუშვათ „ელვა.“

რედაქცია ცდილობს ყველა შემოსულ წერილს გასცეს პასუხი. ან გადაუგზავნოს ვისაც ჯერ არს. რაც შეეხება ლიტ. ფურცელს ამას ჩვენ აუცილებლად გამოუშვებთ თვეში ერთხელ მაინც. მოწყობილი იქნება ყოველ ნომრის კრიტიკაც, სადაც მონაწილეობა უნდა მიიღონ კორესპონდენტებმა.

# მოწინავე ვხდებით
## (ასპირანტურა)

ასპირანტურის ინსტიტუტის I კურსის I ჯგუფში ირიცხება 13 ასპირანტი. ჯგუფის სამკუთხედმა დროულად მიიღო ზომები სასწავლო პროგრამების თვითეულ ასპირანტამდე დასაყვანად. არცერთი ასპირანტი არ არის დარჩენილი სოცშეჯიბრისა და დამკვრელობის გარეშე. სისტემატიურად მიმდინარეობს აღებულ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება. მომავალ სესიებთან დაკავშირებით სრული ნებაყოფლობის პრინციპის საფუძველზე ჩამოვაყალიბეთ საბუქსირო ჯგუფები. (უმთავრესად ენებში). ასპირანტების უმრავლესობა დაკავშირებულნი არიან უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრეებთან, წერენ რეცენზიებს სხვა და სხვა სახელმძღვანელოებზე (ა. პაპავა, არეშიძე, თავბერიძე და ჩარკვიანი) უწევენ დახმარებას ჩამორჩენილ სტუდენტებს, აქტიურად მუშაობენ საშეფო კოლმეურნეობაში და აბრეშუმის ფაბრიკაში.

5 ამხანაგი მიმაგრებულია კათედრებზე სპეციალურ საგანში სამუშაოდ (უმთავრესად ბუნებისმეტყველები). დანარჩენები მიმაგრებულნი იქნებიან მეორე კურსიდან. ლექტორებიდან აღსანიშნავია გერმანული ენის სემენარის ხელმძღვანელის დოც. ვ. ტატიშვილის ენერგიული მუშაობა. ამხ. ტატიშვილს გაცდენა-დაგვიანების არცერთი შემთხვევა არა აქვს. ვიყენებდით რა დასვენების დროსაც ამხ. ტატიშვილმა ზედმეტად ჩაატარა მეცადინეობა 40 საათის რაოდენობით. ასევე ენერგიულად მუშაობს რუსული ენის სემინარის ხელმძღვანელი ამხ. კულიკოვი. იგი საზოგადოებრივი დატვირთის სახით დამატებით საათებში მუშაობს ასპირანტებთან. დღემდე ჩატარებული აქვს 22 საათი. მოწოდების სიმაღლეზე სდგას დიამატის სემინარი პროფ. ვაშაყმაძის და პოლიტეკონომიის სემენარი პროფ. გ. კვიცარიძის ხელმძღვანელობით.

კარგ მაჩვენებლებს იძლევიან ასპირანტები ამხ. შოთა ქინქლაძე ალ. პაპავა, პ. კილასონია ქ. არეშიძე, შ. ბერაძე, თავბერიძე და სხვ.

რას მოივთხოვთ: 1. მიღებულ იქნეს ზომები ასპირანტების სასწავლო ლიტერატურით უზრუნველსაყოფად. 2. მოგვარებულ იქნეს უნივერსტეტის ბიბლიოთეკით სარგებლობა. 3. გადაიდგას ნაბიჯი კულტ-საყოფაცხოვრებო საკითხების შემდგომი გაუმჯობესებისაკენ (საერთო საცხოვრებლის დროულად მოწყობა, სასადილოზე მიმაგრება და სხვა) თანახმად ს. ს. რ. კ. სახკომსაბჭოს 1934 წ. 13 იანვრის დადგენილებისა.

ი. ჯიბლაძე.

# მდგომარეობა დაყოვნებას ვერ ითმენს

(ტიპო-ლითოგრაფია)

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც სახ. უნივერსიტეტმა სალითოგრაფიო ცეხთან გახსნა საამწყობო ცეხი, რომელმაც მომსახურეობა უნდა გაუწიოს უნივერსიტეტს სახელმძღვანელოების, პროგრამების და სხვ. დარგში.

სამწუხაროდ საამწყობო ცეხი დღემდე არ არის უზრუნველყოფილი შესაფერ მოწყობილობით. მცირეა შრიფტი, ზოგჯერ ის სრულებით არ არის. ამით აიხსნება ის, რომ გაზ. „ბოლშევიკურ კადრებისათვის" ხშირად აკლია ტექნიკური გაფორმება მასში გადის არეული შრიფტი. (მაგ. ნაცვლად ციცეროსი იწყობა კორპუსით, ნაცვლად შავისა იწყობა თეთრით და სხვ.,) რაც თავისთავად ცხადია მოკლებულია გარეგნულ სილამაზეს.

იყო შემთხვევა ცეხში წუნდებული პროდუქციის შექმნისა, რომელიც თვით ცეხშივე იქნა გამოსწორებული. ხშირად ასეთი წუნდებული პროდუქცია მანქანებზეც გადის. ეს გარემოება იწვევს მანქანების დგომას და საათების გაცდენას

ყველაზე უფრო სამწუხაროა ის, რომ სტამბაში ვერ არის მოწესრიგებული დასვენება, სამუშაოს დაწყება და დამთავრება.

26 მაისს საამკინძაო ცეხმა მუშაობა დაამთავრა 3 საათზე ნაცვლად ოთხის ნახევრისა **რადგან, კვინტრაძის „საათმა" ასე უჩვენა.**

ამხ. **თევდორაშვილმა** მიუთითა ამხ. კვინტრაძეს, რომ მას ასეთი საქციელით უწესრიგობა შეაქვს მუშებში. მაგრამ კვინტრაძემ ამაზე უპასუხა ასე: **„სულერთია საქმე მაინც არა მაქვს და თქვენს წასვლამდის აქ ვიქნებით"**

ცეხში ვერ არის მოწესრიგებული აღრიცხვა და თვიური ანგარიშსწორება რაც გვაძლევს იმ შედეგს, რომ ხელფასის გაცემა წყდება „უბრალო შეხედულებით" რიცხობრივ--ხარისხობრივ მაჩვენებლების შემოწმების გარეშე.

სალითოგრაფიო და საამკინძაო ცეხში ხშირად შეხვდებით, რომ მომუშავეები ლაყბობენ, ცდებიან, რის მიზეზად მასალის უქონლობას ასახელებენ (მაგ. ქვის მლესავი, ამკინძავი და მანქანაზე ქაღალდის გამომრთმევი).

საჭიროა სტამბის ხელძღვანელებმა დასვან უახლოეს ამოცანად სტამბის კეთილმოწყობა და გაუპიროვნებისაგან თავის დაღწევა. აგრეთვე საჭიროა შემოწმდეს ცეხებში შტატი მასალის მიწოდების რაოდენობასთან შეფარდებით, რაც მოსპობს სამუშაო საათების ზედმეტად ხარჯვას.

ასოთამწყობი ვ. ქილიფთარი

—:—

## წერილი რედაქციის მიმართ

თქვენი გაზეთის № 7- (14) ში გამოქვეყნებულ ცნობებში ფაკულტეტების სტუდენტთა შრომის დისციპლინის შესახებ, საბჭოთა აღმშენებლობის და სამართლის ფაკულტეტზე კანცელარიის მიერ შეცდომით წარმოდგენილია არა სწორი ცნობა. „არა საპატიო მიზეზით გაცდენა 2, 11 პროცენტის ნაცვლად უნდა იყოს 1, 09 პროც.

მდივანი· გრ. შეწირული

# ამხ. დ. დონდოლაძის ხსოვნას

ამხ. დიმიტრი დონდოლაძე დაიბადა ნინოშვილის თემში (ლანჩხუთის რაიონი) ღარიბი გლეხის ოჯახში·



ის თავიდანვე დაეწაფა . სწავლას და ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ (17 წლისამ) დამთავრა ლანჩხუთის საშუალო სასწავლებელი.

1929 წ ის მუშაობს აჭარისტანის ჩამორჩენილ კუთხეში 4-წლედის გამგეთ. 1930 წელს კი ისევ ბრუნდება ნინოშვილის თემში, სადაც ინიშნება კოლახსკოლის მასწავლებლად 1930-31 წ. ამხ. დონდოლაძე ხელმძღვანელობს ნინოშვილის თემის მშრომელ ახალგაზრდობას მას აგრეთვე ირჩევენ კომკავშირის ბიუროკოლექტივის მდივნად და რაიონული კომიტეტის წევრად 1932 წლიდან ლანჩხუთის კ.კ. რაიონული ორგანიზაცია ამხ. დონდოლაძეს ავლინებს ტფ. სახ. უნივერსიტეტში, როგორც საუკეთესო დამკვრელ კომკავშირელს.

ამხ. დონდოლაძე ტფ. სახ. უნ-ტში ითვლებოდა საუკეთესო დამკვრელ სტუდენტად, უნივერსტეტში მას ირჩევენ კომკავშირის უჯრედის პ/მგ. მდივნად ბოლო ხანებში კი ითვლებოდა საბ. აღმშენელობის და სამართ. ფაკ. კ.კ. ბიუროს წევრად.

ულმობელმა სიკვდილმა საბ. აღმშ. და სამართლის კ. კ. ორგანიზაციას ხელიდან გამოაცალა საუკეთესო კომკავშირელი, იშვათი ამხანაგი, რომელის ხსოვნა მუდამ იქნება უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაციაში და მის უახლოეს მეგობრებში

ა. დოლიძე
გ. შეწირული
ქ. გუაჩიძე
შ. ცინცაძე
ამხ. ჯგუფი გ. ცაგოლოვა
პ. ხოფერია
გ. ხოფერია
ს. ათელიძე
გ. მიქაბერიძე

# „გთხოვთ გამანთავისუფლოთ"

იმ დიდი მიღწევების გვერდით რომელიც უნივერსიტეტს გააჩნია არ შეიძლება არ ვიბრძოლოთ აგრეთვე ყოფაცხოვრების ახალი— სოციალისტური ფორმების შესახებ. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ მთელრიგ სტუდენტთა შორის გავრცელებულია ყოფაცხოვრების მახინჯი მოვლენები. ზოგჯერ ეს სიმახინჯე რელიგიოზურ ნიღაბით გვევლინება.

ამას წინად ერთ-ერთმა სტუდენტმა პატარა ბავშვის ფრჩხილები აუდიტორიაში დაყარა (ბავშვის მშობლების დავალებით). ვითომც ეს იყოს „სიმპტომი" მოზარდის პროფესორად გახდომისათვის. კიდევ უფრო მახინჯ ფორმებში გვევლინება სექსუალური საკითხი .(მოვიგონოთ კუტალაძის მაგალითი)-სტუდენტთა ქალაქის მე-7დე კორპუსის № 20 ოთახში სისტემატიური ხასიათი აქვს „მოლხენას" „მოარშიყე" ბიჭების „სტუმრობის" და სხვა.

უპასუხისმგებლობა იქამდე მიდის, რომ ერთი სტუდენტი ქალი, პარტიის წარმომადგენელს შაბათობის საკითხის დამუშავების დრო[illegible] ასეთ განცხადებას აძლევს

**„Тов. председатель. мне только что сделали аборт, прошу освобо дить. 29 апреля была операция".**

ქართული სექციის 1-ლი კურსის სტუდენტი **ფოფხაძე** ახერხებს პურის ორი წიგნაკის ქურდულად ხელში ჩაგდებას და პროფ.ორგს ამხ. თავართქილაძეს უპუროდ სტოვებს. ფოფხაძე კომკავშირის ორგანიზაციაშიც შემთხვევ. იყო მოხვედრილი.

მრავალი მსგავსი მაგალითების მოყვანა შეიძლება სტუდენტთა ყოფაცხოვრების დამახინჯების საილუსტრაციოდ. ეს გარემოება ჩვენ გვავალებს გავაჩაღოთ სასტიკი ბრძოლა ყოფაცხოვრების დამახინჯების წინაამდეგ და სტუდენტთა შორის შევიტანოთ მეტი სიჯანსაღე და სოციალისტურიმო მორალი.

ნემო

# პირველი დღეები პრაქტიკაზე

გეოლოგ. დარგის მე-3 კურსის სტუდენტებისათვის გეოლოგია-მინერალოგიის კათედრების მიერ დროულად იქნა მუშაობა გაშლილი.

კათედრის მიერ შედგენილი იქნა კონკრეტული გეგმა პრაქტიკის ჩატარებისათვის. კათედრამ გამოყო გეოლოგიურ ინსტიტუტის და გეოლოგ. კათედრის საუკეთესო წევრები; დოც. ი. კაჭარავა, ვ. კახაძე, ჟანდელაკი, ჩიხრაძე, გამყრელიძე და სხვები ველზე სტუდენტებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

პირველად ველზე გავედით 7 მაისს ინჟ. პ. გამყრელიძის ხელმძღვანელობით.

სტუდენტები მოეწყო ისე, თითქოს საუკეთესო მდიდარ საბადოების საძებნად მიდიოდნენ (მოწყობილობაში ნამდვილ გეოლოგებს ვგავდით): ჩაქუჩით, კომპასით, უბის წიგნაკებით, ტფილისის რუქით და სხვ. მიზნად ტფილისის სახუნის მიდამოების შესწავლა გვქონდა დასახული, სადაც უნდა მიგვეღო ჩვევები ველზე მუშაობის, კროკების შედგენის, ნიმუშების აღების და სხვ.

პირველი დღის გეგმა 100 პროცენტით შევასრულეთ. 8 მაისს მისი დამუშავება მოვაწყვეთ.

პრაქტიკის პროცესში აღსანიშნავია აგრეთვე ბუნებისმეტყველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის მონაწილეობა. სტუდენტები აგროვებენ მასალებს მუზეუმისთვის და ექსკურსიებზე სათანადოდ გამოფენისათვის.

საჭიროა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე სხვა პრაქტიკანტ სტუდენტებმა გაგვიზიარონ თავიანთი შთაბეჭდილებანი.

ტ. ჩიჩუა.

# სწავლა გინდა თუ არა?
## ამხ. ოლღა რუხაძეს!

სახ. უნივერსიტეტის სავაჭრო სექციის III კურსზე ირიცხება სტუდენტი ქალი **ოლღა რუხაძე**, რომელიც აკადემიური მოძრაობის მხრივ ძალიან ჩამორჩენილია. სტუდენტი რუხაძე 1-ლი კურსიდანვე ირიცხება სისტემატ ყველა საგნებში, მაგრამ სხვადასხვა „მაინცდამაინც" მაინც ახერხებდა შემდეგ კურსზე გადასვლას. ამის ის აღწევდა ლექტორისაგან ნიშნის „ჩაჭრობით." რუხაძეს აქვს ჩვეულება ნიშნის აღწევისათვის—ბრანავ მიდიოდ ლექტორთან. ამ სექციაში რუხაძე დედობრივად ეძებს ლ. ლეკიშვილს.

რუხაძე არ მიმართავს გარდა მისი საკუთარი „მეთოდისა" სხვა ხერხებს, რათა გამოსწორდეს. არ ებმება საბუქსირო რგოლებში. „მე არ მინდა ბუქსირი, საბუქსირო თქვენ ხართ"—ო—ახვადებს ის.

რუხაძე—აგრეთვე გამოუსწორებელი შრომის დეზერტირია, რისთვისაც დეკანატიდან ბევრჯერ მიიღო საყვედური.

კავალერიძე.

## რედაქციისაგან

ვათავსებთ, რა წერილს სტუდ. ოლ. რუხაძის დაუშვებელი საქციელის შესახებ, რედაქცია სთხოვს თვითონ რუხაძეს გვაცნობოს პასუხი იმაზე თუ რას ფიქრობს ის მომავალში. სურს სწავლის გაგრძელება თუ არა?

ამხ. რუხაძე! ველით შენგან პასუხს.

# ქრონიკა

ეკონომიური, სამართლის და ისტ. ლიტერატურულ ფაკულტეტების 1-ლ კურსებზე და ფიზმათემატიკურ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების II კურსებზე მეცადინეობა დამთავრდება I-ლ ივნისს. პირველიდან 15 ივნისამდე იწარმოებს საგამოცდო სესიები.

15 ივნისიდან—15 აგვისტომდე ჩატარდება საბანაკო შეკრება.

ეკონომიური, ისტ. ლიტერატ. სამართლის ფაკულტეტების II კურსებზე, ფიზ. მათემატ. I და III კურსებზე და საბუნებისმეტყვ. ფაკულტ. I-ლ კურსებზე მეცადინეობა დამთავრდება 15—ივნისს. 15 დან—28 ივნისამდე იწარმოებს საგამოცდო სესიები.

**5 ივნისს 2 საათზე გაზ. „ბოლშევიკური კადრებისათვის" რედაქციაში შესდგება კორესპონდენტთა თათბირი. ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის გარჩევა— მომხ. ამხ. ლლონტი. კორესპონდენტთა დასწრება სავალდებულოა**

—4 ივნისს საღ. 7 საათზე გაგრძელდება კამათი ამხ. **მ. ჩხენკელის** მოხსენების გარშემო. საენათმეცნიერო საკითხებზე.

**ახალი წიგნი:** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა პროფ. **გ. თავზიშვილის** წიგნი **„საბჭოთა პედოლოგიის ისტორიისათვის„**

გამოცემა ტფ. სახ. უნივერსიტეტის.

—:—

## განმარტება

**ჩვენი გაზეთის უკანასკნელ ნომერში (8) მოთავსებული იყო წერილი „მოწინავეები და ჩამორჩენილები" ამ წერილში, პოლტ-ეკონომიის კონსულტაციის ჩაშლის, მიზეზად შეცდომით არის დასახელებული ამხ. ა. კაცია**

ტირაჟი 2000 სახელმწიფო უნივერსიტეტის ტიპო-ლითოგრაფია მთავლიტის რწმუნებული № 5